ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3731201

ნომერი: AR1554333

თარიღი : 02.11.2017

გაცემის თარიღი : 12.12.2017

გაცნობის თარიღი : 12.12.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნუცუბიძე , N 129 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რამაზ ტვილდიანი პ/ნ 01009016511
- ვაჟა ფშაველას მე-7 კვარტალი 22 კორ ბინა 37

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 02 ნოემბრის №AR1554333 განცხადება, რომლითაც მოითხოვეთ ამავე სამსახურის 2017 წლის 02 ნოემბრის №3655192 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურის 2017 წლის 09 ნოემბრის №3672805 ბრძანებით, 2017 წლის 27 ნოემბრის №3703191 და 2017 წლის 01 დეკემბრის №3713232 გადაწყვეტილებებით დაგიდგინდათ ხარვეზი და მოგეცათ ვადა მის გამოსასწორებლად. განმეორებით წარმოდგენილ განაცხადში კვლავ გამოვლინდა ხარვეზი, კერძოდ: წარმოდგენილ საპროექტო გეგმაზე ასახული ფართების სხვაობა და ნამატი არ არის ასახული მოთხოვნილ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, არ იქნა წარმოდგენილი სამსახურის მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია, 2017 წლის 09 ნოემბრის №3672805 ბრძანების, 2017 წლის 27 ნოემბრის №3703191 და 2017 წლის 01 დეკემბრის №3713232 გადაწყვეტილებების შესაბამისად, თქვენი 2017 წლის 02 ნოემბრის №AR1554333 განცხადება დარჩა განუხილველი.
დამატებით გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის რეგისტრაციის შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს განცხადებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით და მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ.თბილისი, ჟ.შარტავას ქ. N7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.